

**2019 წლის ინდივიდუალური
ფინანსური ანგარიშგება
შპს "ტექნოკომი" (ს/კ 404960173)**

შინაარსი:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
საქმიანობის შედეგები

ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია
2. მომზადების საფუძველი
3. ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები
4. სავაჭრო მოთხოვნები
5. გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი
6. სხვა მიმდინარე აქტივები
7. არამატერიალური აქტივები
8. ძირითადი საშუალებები
9. სავაჭრო ვალდებულებები
10. დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები
11. გადასახადები
12. სხვა ვალდებულებები
13. კაპიტალი
14. ამონაგების აღიარება
15. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი
16. წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან
17. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები
18. ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31/12/2019	31/12/2018
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	3	2819714	1038208
სავაჭრო მოთხოვნები	4	32981	29579
გადახდილი ავანსები	5	4511	10883
მარაგები		0	0
მზა პროდუქცია		0	0
სხვა		0	0
საინვესტიციო ქონება		0	0
სხვა მიმდინარე აქტივები	6	7918	907
ბიოლოგიური აქტივები		0	0
თვითღირებულების მოდელით		0	0
გადაფასების მოდელით		0	0
გუდვილი		0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	7	12428	13068
ძირითადი საშუალებები	8	40199	37330
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები		0	0
სულ აქტივები		2917751	1129975
ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება		0	0
სავაჭრო ვალდებულებები	9	171586	153631
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები		0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	10	0	338
საგადასახადო ვალდებულებები	11	43675	14582
გამოუმუშავებელი შემოსავალი		0	0
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		0	0
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		0	0
მიღებული გრანტები		0	0
სხვა ვალდებულებები	12	12007	4848
სულ ვალდებულებები		227268	173399
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	13	8306	8306
საემისიო შემოსავალი		0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები		0	0

შპს "ტექნოკომი" (ს/კ 404960173)
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	13	1942177	638270
გადაფასების რეზერვი		0	0
სხვა რეზერვები	13	740000	310000
სულ საკუთარი კაპიტალი		2690483	956576
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		2917751	1129975

გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს "ტექნოკომი"-ს სახელით 2020 წლის 28 სექტემბერს



ინფორმაციის მიმწოდებელი შპს "ტექნოკომი"-ს დირექტორის მინდობილი პირი

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2019	2018
ნეტო ამონაგები		4602038	2892788
საქონლის გაყიდვიდან		0	0
მომსახურების გაწევიდან	14	4602038	2892788
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		0	0
სხვა		0	0
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		0	0
საწყისი მარაგები		0	0
მარაგების შესყიდვა		0	0
გადამუშავების დანახარჯები		0	0
საბოლოო მარაგები		0	0
საერთო მოგება		4602038	2892788
სხვა შემოსავალი		0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება		-342300	-330940
ცვეთა და ამორტიზაცია		-7915	-7992
საპროცენტო შემოსავალი:		7671	482
საპროცენტო ხარჯი :		0	-2174
იჯარის ხარჯი		-47029	-50825
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	15	-2077768	-1764762
სულ საოპერაციო ხარჯები		-2466810	-2156211
საოპერაციო მოგება		2135228	736577
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:			
ფინანსური აქტივები		0	-41
მარაგები		0	0
სხვა არაფინანსური აქტივები		0	-1206
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	16	7972	61562
მიღებული დივიდენდები		0	0
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		0	0
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		2142669	796892
მოგების გადასახადი		-61394	-88235
მოგება/(ზარალი)		2081275	708657
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალების (მათ შორის ბიოლოგიური აქტივის) გადაფასების რეზერვი		0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)		0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ		0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		2081275	708657
კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		956576	747919
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა' , კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')		0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	13	-347368	-500000

შპს "ტექნოკომი" (ს/კ 404960173)
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები		0	0
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		2690483	956576

გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს "ტექნოკომი"-ს საბელით 2020 წლის 28 სექტემბერს



ამდგომარეობაშია შპს "ტექნოკომი"-ს დირექტორის მინდობილი პირი

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს "ტექნოკომი" (შემდგომში „კომპანია“) არის 2012 წლის 10 ოქტომბერს საქართველოში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ.თბილისი, გლდანის რაიონი, მუხიანის დასახლება, მე-2 მ/რ, ი.ნონეშვილის ქ. კორპ. №11, რაც ასევე წარმოადგენს მის ფაქტობრივ მისამართს.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მონაცემთა დამუშავება, განთავსება და მათთან დაკავშირებული საქმიანობები.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას ყავს ორი მეწილე 50% და 50%-ის მფლობელი ფიზიკური პირები ოლეგ შლეპანოვი და მაქსიმ ბელონოგოვი. კომპანიის დირექტორია ოლეგ შლეპანოვი.

2. მომზადების საფუძველი

მომზადების საფუძველი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში „მსს ფასს“), რაც ასახავს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს საფუძველზე (რომელიც გამოიყენება მსს ფასს 35-ე განყოფილების „მსს ფასს-ზე გადასვლა“-ფარგლებში).

კომპანია ნათლად და უპირობოდ აცხადებს, რომ:

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტმა გამოიყენა მსს ფასს, ფაქტებისა და გარემოებების საუკეთესო გამოცდილება, რაც ასევე გამოყენებულ იქნება მსს ფასს-ის შემდგომი პერიოდების ფინანსური ანგარიშგების პაკეტის მომზადებისას შესადარისი ინფორმაციის წარმოდგენით.

ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით, კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და გამოთქვა კმაყოფილება იმასთან დაკავშირებით, რომ კომპანიას აქვს საკმარისი რესურსი, გააგრძელოს საქმიანობა უახლოეს მომავალში, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან მინიმუმ 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში. ამასთან, ხელმძღვანელობა არ ფლობს ინფორმაციას, რომელმაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. აქედან გამომდინარე, ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა წარმოადგენს იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტას, რომელშიც იგი ფუნქციონირებს. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი ("GEL").

წარდგენის ვალუტა

ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ხდება ლარში, თუკი სხვაგვარად არ არის განსაზღვრული.

3. ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს სალაროში, ეროვნულ ვალუტას რეზიდენტ ბანკში და უცხოური ვალუტას რეზიდენტ ბანკში.

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

	2019	2018
ნაღდი ფული სალაროში	19025	10766
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	635893	270866
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	2164796	756576
სულ	2819714	1038208

4. სავაჭრო მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების გაანალიზება იმის დასადგენად, ხომ არ არსებობს რაიმე ობიექტური მტკიცებულება, რომ ეს თანხები არ ექვემდებარება ამოღებას. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

	2019	2018
სავაჭრო მოთხოვნები	32981	29579
სულ	32981	29579

5. გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი

გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავლები მოიცავს ძირითადი მომწოდებლებისთვის გადახდილ ავანსებს.

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

	2019	2018
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	4511	10883
სულ	4511	10883

6. სხვა მიმდინარე აქტივები

სხვა მიმდინარე აქტივები მოიცავს ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯებისთვის გამოსაყენებელ მარაგებს.

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

	2019	2018
მარაგები ხარჯებისთვის	7918	907
სულ	7918	907

7. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები მოიცავს ფასიან სატელეფონო ნომრებს, რომლებიც გამოიყენება ძირითად საქმიანობაში და მონაწილეობს ეკონომიკური სარგებლის მიღებაში.

არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა არის 10 წელი.

სატელეფონო ნომრები

31 დეკემბერი 2018	14520
შემოსვლა/რემონტი	848
გადაფასება	-
გასვლა	-
31 დეკემბერი 2019	15368
ცვეთა და გაუფასურება	
31 დეკემბერი 2018	1452
პერიოდის ცვეთა	1488
გასვლა	-
31 დეკემბერი 2019	2940
წმინდა საბალანსო ღირებულება	
31 დეკემბერი 2018	13068
31 დეკემბერი 2019	12428

8. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას. მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელშიც წარმოიშვა. ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო საბალანსო ღირებულებით, რომელიც გამოიანგარიშება მისი თავდაპირველი ღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ძირითადი საშუალების ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი ვარგისია გამოსაყენებლად. ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის განმავლობაში. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ამ აქტივის მოსალოდნელი სარგებლიანობით საწარმოსათვის და ეყრდნობა მსგავსი აქტივების მქონე საწარმოს გამოცდილებას. ასევე, გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები:

- მანქანა-დანადგარები 5-20 წელი
- ოფისის აღჭურვილობა და სხვა ინვენტარი 5-50 წელი
- სატრანსპორტო საშუალებები 10-30 წელი

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში. ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა.

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ
31 დეკემბერი 2018	21857	51952	73809
შემოსვლა/რემონტი	20903	-	
გადაფასება	-	-	-
გასვლა	(21857)	(2050)	
31 დეკემბერი 2019	20903	51110	72013
31 დეკემბერი 2018	8524	27955	36479
პერიოდის ცვეთა	1440	6475	7915
გასვლა	(9180)	(1913)	-
31 დეკემბერი 2019	784	31030	31814
31 დეკემბერი 2018	13333	23997	37330
31 დეკემბერი 2019	20119	20080	40199

9. სავაჭრო ვალდებულებები

აღნიშნული თანხები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე აღებულ ვალდებულებებს და პროცენტებს არ ითვალისწინებს. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება კომპანიის ფულად ერთეულში (ლარში), საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

	2019	2018
სავაჭრო მოთხოვნები	171586	153631
სულ	171586	153631

10. დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

ხელფასები, გასამრჯელოები, ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებები, ბიულეტენები, პრემიები და არაფულადი სარგებლები კომპანიის მიერ ექვემდებარება დარიცხვას იმავე პერიოდში, რომელშიც კომპანიის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურება იქნა გაწეული. კომპანიას არ აქვს რაიმე სახის საპენსიო ან მსგავსი პროგრამის (მათ შორის თანამშრომლის სამსახურის შემდგომი სარგებლის სახით) იურიდიული თუ არაკონტრაქტული ვალდებულება.

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

	2019	2018
სავაჭრო მოთხოვნები	0	338
სულ	0	338

11. გადასახადები

მოგების გადასახადი

საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომელიც ყველა პირისთვის, გარდა გარკვეული გამონაკლისებისა, ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

ახალი, ე.წ. "ესტონური", მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით (მანამდე არსებული მოდელის მიხედვით, კომპანიის მოგება 15%-იანი გადასახადით იბეგრებოდა იმის მიუხედავად, ხდებოდა თუ არა წმინდა მოგების დივიდენდის სახით განაწილება). მოგების ახალი მოდელით, საქართველოს საგადასახადო კოდექსის საფუძველზე კომპანიებს საშუალება მიეცათ, 2017 წლამდე ბიუჯეტში გადახდილი მოგების გადასახადი ჩაითვალოს მომდევნო პერიოდებში თუ ისინი მოგების სახით გაანაწილებენ 2017 წლამდე დაგროვილ მოგებას.

დღგ

კომპანიის მიერ გაყიდვების/მომსახურების გაწევის ოპერაციებთან დაკავშირებული დღგ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელია მიწოდებული საქონლის ან გაწეული მომსახურების შესაბამისად, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში. კომპანიას შეუძლია განახორციელოს დღგ-ს ჩათვლა შესაბამისი ჩასათვლელი თანხების დეკლარირების გზით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დაშვებულია გადამხდელის მიერ დღგ-ის თანხის გადახდა ე.წ. „წმინდა თანხის“ საფუძველზე (მიღებული დღგ-ს ჩათვლის გათვალისწინებით). შესაბამისად, კომპანიის მიერ განხორციელებული დასაბეგრი ოპერაციების საფუძველზე გადასახდელი დღგ, რომლის გადახდაც არ მომხდარა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება (აღიარდება) ე.წ. „წმინდა თანხის“ საფუძველზე (მიღებული დღგ-ს ჩათვლების გათვალისწინებით). საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად დღგ-თი დაბეგვრა ხდება წინასწარ კომპანიის მიერ მიღებული კომპენსაციის თანხების.

საგადასახადო ვალდებულებები მოიცავს კომპანიის მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებებს.

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

	2019	2018
სავაჭრო მოთხოვნები	43675	14582
სულ	43675	14582

12. სხვა ვალდებულებები

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია სასესხო ვალდებულებები. სხვა ვალდებულებები მოიცავს მყიდველებისგან მიღებულ ავანსებს და საპენსიო შენატანის გადახდის ვალდებულებას.

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

	2019	2018
მყიდველებისგან მიღებული ავანსები	11951	4848
საპენსიო შენატანი	56	-
სულ	12007	4848

13. კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისგან, გაუნაწილებელი მოგებისგან, რომელშიც შედის მიმდინარე წლის მოგება ან ზარალი და სარეზერვო კაპიტალისგან.

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს ნომინალურ კაპიტალს, რომელიც 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 8306 ლარს.

კაპიტალის მართვის მიზნებია:

- კომპანიის სტაბილურობის საჭირო დონის შენარჩუნება და ამით მფლობელებისთვის გარკვეული უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- კაპიტალის ეფექტურად მართვა და საქმიანობის განვითარების მხარდაჭერა იმის უზრუნველყოფით, რომ გამოყენებულ კაპიტალზე უკუგება აკმაყოფილებდეს მფლობელთა მოთხოვნებს;
- მტკიცე ფინანსური პოზიციის შენარჩუნება, საქმიანობის გაფართოების ხელშეწყობა და მფლობელებისთვის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

დივიდენდების აღიარება ხდება იმ პეროდში როდესაც ისინი იყო გადახდილი.

2019 წელს კომპანიის მიერ მოხდა გაუნაწილებელი მოგებიდან დივიდენდების გამოცხადება და განაწილება 347368 ლარის ოდენობით.

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სარეზერვო კაპიტალი	სულ კაპიტალი
ბალანსი 01 იანვარი 2019წ.	8306	638270	310000	956576
შენატანი	-	-	-	-
გაცემა	-	-	-	-
დივიდენდები	-	(347368)	-	(347368)
მიმდინარე წლის მოგება/ზარალი	-	2690483	-	2690483
ბალანსი 31 დეკემბერი 2019	8306	1942177	740000	2690483

14. ამონაგების აღიარება

ამონაგები მოიცავს მხოლოდ კომპანიის მიერ მიღებულ ან მისაღებ ეკონომიკური სარგებლის საერთო თანხას. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით.

ამონაგების აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია მოცემული ოპერაციიდან ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში. როდესაც ჩნდება განუსაზღვრელობა ამონაგებში უკვე ჩართული თანხის მიმართ, ამოუღებელი თანხა ანუ თანხა, რომლის ამოღების ალბათობა ნულის ტოლია, აღიარებული იქნება როგორც ხარჯი.

შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე. გაყიდვები ნაჩვენებია დღგ-ს გარეშე.

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

	2019	2018
მომსახურების გაწევიდან	4602038	2892788
სულ	4602038	2892788

15. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

	2019	2018
სარეკლამო ხარჯი	430409	342039
კომუნალური ხარჯები	9172	9513
კომუნიკაციის ხარჯები	1592153	1377952
მანქანის საექსპლუატაციო და საწვავის ხარჯი	1885	2669
საბანკო მომსახურების ხარჯი	2075	1096
ადმინისტრაციის მომსახურების ხარჯი (აუტსორსინგი)	30508	28474
საპენსიო შენატანი დამქირავებლის	6920	-
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	4646	3019
სულ	2077768	1764762

16. წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება გარიგების დღეს არსებული კურსით.

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

	2019	2018
საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება	23709	63746
საკურსო სხვაობიდან მიღებული ზარალი	(15737)	(2184)
სულ	7972	61562

17. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომ მნიშვნელოვანი მოვლენები არ მომხდარა.

18. ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებითი შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას. ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობასთან.

კომპანიაში ანარიცხები აღიარდება, როდესაც:

- კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად;
- სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა;
- შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

კომპანიას მიმდინარე პერიოდში არ ქონია პირობითი აქტივები, ვალდებულებები და ანარიცხები.

აღნიშნული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.